# სახალხო გაზეთი

№ 408 შაბათი, 24 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 408

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]ети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


18 ენკენისთვეს დანიშნული ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა ცუდი ამინდების გამო არ შესდგა.

სამაგიერო სეირნობა დანიშნულია კვირას, 25 ენკენისთვეს, „ახალი კლუბის“ ბაღში.

**I. სეირნობა ბავშვებისათვის**

11 საათიდან 2 საათამდე

ბავშვების გასეირნება მუსიკით. სხვა და სხვა თამაშობა. საჩუქარი სიმარდისათვის.

**II. დიდი სახალხო სეირნობა**

3 საათიდან ღამის 11 საათამდის.

ამერიკული ბაზარი. პტი-შვო. მარჩიელი. ფოსტა. ყვავილების ბრძოლა. რგოლების სროლა. კონფეტი. შუშხუნები. დაუშრეტელი ყანწი. საქანელა.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. შესვლა: დიდებისათვის 25 კ., ბავშვებ. და მოწაფეებისათვის—15 კ. ბაღში შესვლა მარჯვენა კარებიდან, თეატრის გალერეას მხრიდან. (3.1492.2)

## „სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

**ღირს 3 მან. 20 კაპ.**

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . **80 კაპ.**

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## დ. ყვირილაში

„თორაძის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ღრმად დამწუხარებულნი: მარიამ ანდრიას ასული და შვილნი მისნი: გიორგი, ილია, ვასილი და ნინა ივანეს ძენი და ასული, რძლები—ოლგა სპირიდონის ასული და ნატალია ისაკის ასული პაატაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის—საყვარელი შვილის, მეორეთა—ძვირფასი ძმის და მესამეთა—საყვარელი მაზლის

**დავით ივანეს ძის პაატაშვილის**

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 25 ამა ენკენისთვეს, საკუთარ ბინიდან (ავლაბარი, ეჩმიაძინის ქუჩა, № 20, საკ. სახლი), ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში 9½ საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, შაბათს, საღამოს 7 საათზე.

ვასილ ისიდორეს ძე და მაკრინე ივანეს ასული თოფურიძენი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ შვილის, ხოლო მეორენი ძმის

**ანდრია ვასილის ძის თოფურიძის**

დასაფლავება ფოთში 25 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე.

სექტემბრის 20-დან

**იხსნება**

ქ. ტფილისში

**ნოტარიუსის კანტორა**

მიხეილ ლავრენტის ძის ქართველიშვილისა.

განოვის ქუჩა, სახ. № 4. (6—1509—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტ-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირაძისა—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღრაძეშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულიშვილი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე. 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირაძისა რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. მ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაბერიძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავეთ. საფასურით. (წ.—1089—567)

ტელეფ. № 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. № 795.

შაბათს, 24 ენკენისთვეს,

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრის სცენაზე **კონცერტი.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი ნ. ა. პრესინსკისა, ე. ნ. სტოგინისა და ბ-ნნი პ ს. ბუტი და ყ. ს. ცხომელიძე. დასაწყისი 9 ს. სად.

სტუმრ. გადიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. კონცერტ. შემდეგ ლოტო. ადგილების ფასი თეატრში 10—50 კ.-დე. (1.1514.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 24 ენკენისთვეს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## პედაგოგები

მონაწილეობენ: ქ-ნნი ს. ანკარა, მარ. გოგოლაშვილი, ქართველიშვილი, ეფ. წუწუნავა, ბ-ნნი: ანაშვილი, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, რ. სალაყაია, სვანელი, ნარი, ფრონის-პირელი, ჭანკვეტაძე, პიაურელი და ალ. წუწუნავა.

ადმინისტრატორი ან. ჭიაბერაშვილი. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი სად. 8 ს (1—1497—1)

## მიიღება ხელის მოწერა

(მხოლოდ 15 ოკტომბრამდე)

**არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.**

წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.

ხელის მოწერით ღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი).

ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

ა. შანშიაშვილის

## „შვების თავადი“

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ.“ ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან.

საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—10)

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად რუსულ ენის სახელმძღვანელო

## მეთოდიური ქრისტომატია

(Методическая хрестоматія по русскому языку)

ნაწ. I, გამოცემა მეორე, შედგენილი ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგინიძის მიერ. განათლების სამინისტროსაგან წიგნი ნებადართულია სკოლებში სახმარებლად. (3—837—2)

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების

## „მომავალი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს წევრთა და არა წევრთა საყურადღებოდ, რომ, რადგანაც 18 ამ თვეს მოწვეული კრება არ შესდგა, ამიტომ მეორეჯერ

**მოწვეულია საგანგებო კრება**

25 ამა თვეს, ნაშუადღევის 3 საათზე,

ზუბალაშვილის სახალხო სახლში. განსახილველია ისევ ის კითხვები; კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მსურველთ აქვე შეუძლიანთ წევრად ჩაწერა, იგინიც გადამწყვეტის ხმით ისარგებლებენ. (3—843—2)

საზოგადოების გამგეობა.

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—146)

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების

## გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება დანიშნულია მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის დარბაზში. განსახილველია:

1) საზოგადოების წესდების მე-9 და მე-14 მუხლების შეცვლა.
2) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები.
3) ამორჩევა თავმჯდომარის ამხანაგისა და კომიტეტის ერთის წევრისა, რომელნიც ვადის გასვლამდე თანამდებობას თავს ანებებენ. (3—1517—1)

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—113)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—18)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეგან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასხისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლაძენიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თერმანე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოსხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ი. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადინთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—100)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—165)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—4)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაპაშვილისა. (ე)

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.7)

**ექიმი ზ. ნ. მამაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—32

**ექიმი ივ. გომართელი.**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—9)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი ი. ვაზაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთო 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 [illegible]—140)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—35)

მედიცინის დოქტორი

**ი. გ. რუდნოვსკი**

კიროჩნის ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—23)



(25—1456—18)

## მეტი მოთმენა და მეტი ყურადღება

2.

ჩემს წერილში ვამბობდი: „შუღლის შემცირებისათვის, შფოთის დაშოშმინებისათვის და უსამართლობის მოსპობისათვის საჭიროა ეროვნულ-პროპორციონალური წარმომადგენლობა. ქართველ ამომრჩევლების გამოსვლა ნიადაგს მოამზადებს ამ სამართლიან პრინციპის განხორციელებისათვის“. ეს ჩემი აზრი ზოგიერთებმა ისე გაიგეს, ვითომ მე მომხრე ვარ იმისი, რომ მომავა-

ლი არჩევნები პროპორციონალურ წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით მოეწყოს. ამისი მომხრე მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებოდი, რადგან პროპორციონალური წარმომადგენლობა იმგვარი საარჩევნო სისტემაა, რომლის დამყარება კერძო პირის სურვილზე კი არ არის დამყარებული, არამედ არსებულ საკანონმდებლო ორგანოების ნებაყოფლობაზე. ხოლო ამ პრინციპის შესახებ სჯა-ბაასის უფლება კი სავსებით ჩვენს ხელშია და, თუ იგი სასარგებლო პრინციპად მიგვაჩნია, მეტი არ არის ძის შესახებ ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ პრესაში გამოითქვა ის აზრი, ვითომ პროპორციონალურ ეროვნული წარმომადგენლობა რეაქციონური და ანტიდემოკრატიული პრინციპია, ვითომ იგი სხვა არ არის რა, გარდა დასავლეთ გუბერნიებში შემოღებულ საეროზო არჩევნების წესისა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ უვიცობის ნაყოფია, არ ცოდნა იმისი, რომ პროპორციონალურ წარმომადგენლობის მოსარჩლე ჯონ სტიუარტ მილლი იყო, არ ცოდნა იმისი, რომ ევროპა-ამერიკის დემოკრატებში ამ პრინციპს დიდის ყურადღებით ეპყრობიან, რომ ზოგიერთ ქვეყანაში იგი უკვე შემოღებულია, ზოგიერთში სწადიათ მისი შემოღება, ხოლო იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ავსტრიაა, დიდი ბრძოლაა ატეხილი ამ პრინციპის გარშემო. ყოველივე ეს ჩვენთვის უცნობი ხილია. გვახსოვს მხოლოდ, რომ ეროვნულ პროპორციონალურ წარმომადგენლობას ნ. ნიკოლაძე გამოესარჩლა და ისიც გაზეთ „კავკაზში“ და ეს საკმარისი გახდა, ყვირილი აეტეხნათ: გოლიცინის დროს უბრუნდებიან, ერთა სოლიდარობას ღალატობენო და სხვა. სწორედ ამიტომ გვინდა მოვაგონოთ ქართველ საზოგადოებას ის, თუ რას სწერდა ამ საგნის შესახებ ნ. ნიკოლაძე და შემდეგში ჩვენთვის უფრო გასაგები იქნება, თუ რა არის მისაღები და რა არა ნიკოლაძის სისტემაში, და რა გვარად უნდა გვესმოდეს ეროვნულ პროპორციონალური პრინციპი დღევანდელი პირობების მიხედვით.

ნ. ნიკოლაძის აზრით ჩვენი ცხოვრების პირობები მეტად გართულებულია. კლასიურ ანტაგონიზმს, რომელმაც იჩინა თავი, ზედ ერთვის ანტაგონიზმი რასიული და სარწმუნოებრივი. „ჩვენში, — ამბობს ავტორი, ავსტრიის მსგავსად, არც ერთი მოვლენა, არც ერთი საკითხი, არც ერთი კუთხე და საქმე არ არის, რომლის გარშემო არ სწარმოებდეს ერთსა და იმავე დროს კლასიური, რასიული და სარწმუნოებრივი ბრძოლა.[1]) აქ ეს ბრძოლა მით არის დამღუპველი, მით ადემატება ადამიანის და ჩვენი ქვეყნის ძალ-ღონეს, რომ კლასიური მადა გამტკიცებულია რასიული და სარწმუნოებრივი ინტერესებით და ეს უკანასკნელნიც გადაიქცევიან კლასიური, ე. ი. მატერიალური კაპიტალისტური ინტერესებით[2]). ევროპაში განათლებული ნაწილი საზოგადოებისა არა მალავს იმას, თუ რა ძნელია სახელმწიფოს და საკანონდებლო ორგანოების დაუხმარებლივ კაპიტალისტურ წყობილებასთან ბრძოლის ატანა. და ადვილად გასაგებია, თუ რა ძნელი უნდა იყოს ინტელიგენციის მდგომარეობა, რომლის წინააღმდეგ ამ კაპიტალისტურ ბატარეის გარდა ორი სხვა სახიფათო და საშიშარი მტერიც გამოდის — რასიული და რელიგიური ბრძოლა“.

თუ ეს ასეა, რატომ უნდა დავმალოთ ამგვარი მდგომარეობა. თუ ეს არის ჩვენი ცხოვრების უსაშინელესი წყლული, რა კეთილი დაგვეყრება, რომ დავფაროთ და არა უწამლოთ რა ამ წყლულს. ეროვნულ ინტერესთა მორიგებისათვის, ქიშპობის კულტურულ კალაპოტში ჩაყენებისათვის საჭიროა რეგულიარიზაცია ამ ინტერესებისა. „შესაფერი რეგულიარიზაციის წყალობით კი, რომელიც კანონიერ ჩარჩოებში იქნება ჩაყენებული ამბობს ავტორი, ეს ბრძოლა უსათუოდ გადაიქცეოდა ერთა ეკონომიურ და ზნეობრივ წარმატების წყაროდ და ფაქტორად და მით ხელს შეუწყობდა და არ შეუშლიდა ქვეყნის კეთილდღეობას. და რათა ამ ბრძოლას ბარბარი ხასიათი დაეკარგოს და კეთილი დაიხსნეს საკმარისია ამ ბრძოლის ბნელი სარდაფებიდან (изъ подполья) სააშკარაოზე გამოტანა და იმ დაწესებულების საფუძველში, რომელიც ადგილობრივ ცხოვრების რეგულატორია უნდა იყოს დადებული მტკიცე და შეურყეველი პრინციპი: უყვეს თავისი წვლილი. „საფრთხე ამ ბრძოლაში და ამ მისწრაფებაში კი არ არის, საფრთხე იმ შეგნებაშია, რომ „უყვეს თავისი წვლილი“ არა აქვს მიზნიდო... საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზი, საზოგადოებრივ ქონების და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ფარგალი კანონით იყოს გამიჯნული, რათა არავინ იყოს მოკლებული კანონიერ უფლებებს და თავის წილს საზოგადოებრივ მმართველობაში მონაწილეობისას, რათა ყველას ინტერესები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე მტკიცედ და წმინდად იყოს დაცული, როგორადაც დაცულნი და უზრუნველყოფილნი არიან ისინი სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობაში, სადაც აღიარებულია პრინციპი — უყვეს თავისი წვლილი“.

რაკი ამ ნიადაგზე დადგა ნ. ნიკოლაძე, იგი უნდა შეხებოდა 1892 წლის საქალაქო დებულებას. ჩვენი ავტორი გადაჭრით იწუნებს ამ დებულებას და ამბობს, რომ ამ დებულებას ძალით ინტელიგენცია და დემოკრატიული ნაწილი საზოგადოებისა სრულიად განდევნილია საქალაქო საქმეების ფარგლიდან. ბურთი და მოედანი დარჩათ სახლის პატრონებს. ასე რომ ამ დებულებას ბურჟუაზიული ხასიათი აქვს და იგი კლასიურ პრინციპზეა აგებული. ამ უკუღმართობას კიდევ ის ერთვის, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა და სხვა ერებისაგან არის დასახლებული. ვაჭრობის უპირატესობა სომხების ხელშია და ამიტომ საქალაქო თვითმმართველობაში დარაზმულია არა მარტო ერთი კლასი მეორის წინააღმდეგ, არამედ ერთი ერიც სხვა ერების წინააღმდეგ. ამ უკუღმართობის თავიდან ასაცილებლად ნ. ნიკოლაძეს არა მარტო „დებულების“ დემოკრატიზაცია მიაჩნია საჭიროდ, არამედ შემოღება ეროვნულ წარმომადგენლობის პრინციპისა.

„ამიერ კავკასიაში უნდა შეიცვალოს 1892 წ. „საქალაქო დებულების“ საარჩევნო სისტემა, ამბობს ავტორი; თვითეულ ერის ხმოსანთა რიცხვი უნდა ყოველთვის და სასტიკად ეგუებოდეს ამ ეროვნების საერთო რიცხვს პროპორციონალად დანარჩენ ერების რიცხვთან. სხვანაირად რომ ვსთქვათ, თვითეული კერძო ერი თავის წრიდან ირჩევს საბჭოში ხმოსანთა იმგვარსავე პროცენტს, რა პროცენტსაც შეადგენს იგი სხვა ერთა შორის. თუ რომელიმე ერი ქალაქში უმრავლესობას შეადგენს, მას ეყოლება უმრავლესობა საბჭოშიაც და, მაშასადამე, თავისი გამგეობის არჩევის უფლებაც ექნება და გამგებლობა საქალაქო მეურნეობაში. ხოლო ამასთან დანარჩენ ერებსაც ეყოლებათ თავისთავი ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები, რომელნიც მათ აზრების და მისწრაფების გამომსახველნი იქნებიან. ეს წარმომადგენლები მტკიცედ დაიცავენ მათ უტყუარ უფლებებს, კონტროლიორები იქნებიან და თავდებნი იმისი, რომ საქალაქო მეურნეობას სინიდისიერად „აწარმოებენ უმრავლეს ერის წარმომადგენელნი“.

თავი და თავი ადგილი საქალაქო თვითმმართველობაში ბიუჯეტს და ფინანსებს უჭირავთ. ვის ხელშიაც ხარჯის აკრეფის და მის განაწილების უფლებაა, იგია გაბატონებული ქალაქში. პოლიტიკური უპირატესობის საფუძველიც სწორედ აქ არის. პროპორციონალური წარმომადგენლობა ამ უსამართლობას და ბოროტებას შეებრძოლება. იგი უფრო სამართლიანად გაანაწილებს ფინანსებს და მთავარ უკმაყოფილობის და ქიშპობის მიზეზს მოსპობს.

დასასრულ ჩვენი ავტორი ამბობს: „ჩემი რწმენით კანონიერი და ადამიანური ინტერესები სომხის ერის ეხლაც, და მომავალშიაც არა ნაკლებ პატივსადებნი, რეალურნი და უტყუარნი არიან, ვიდრე სხვა ერთა ინტერესები, მაგრამ თვითეულ ერის უფლებანი და ინტერესები, ისე როგორც თვითეულ ფიზიკურ და იურიდიულ პიროვნების ინტერესები, პატივსადებნი და რეალურნი არიან იმდენად, რამდენადაც არ შეეხებიან და არ აზიანებენ დანარჩენ ერთა და პიროვნებათა უფლებებს. აქ არის საზღვარი უფლებასა და დანაშაულობის შუა. თუ საქმე, რომელსაც ვიცავ — კეთილია, მისი დაფარვა და მიჩქმალვა არ არის საჭირო. ჩვენ ჩვენსას ვიცავთ და სხვისას არ ვეტანებით და არ უარვყოფთ სიცოცხლის და ბედნიერების გამტკიცებისათვის არავის უფლებას. ეს ერთად-ერთი მკვიდრი საფუძველია და ერთად-ერთი ლიბერალური ხასიათის გადაწყვეტაა საკითხისა. ეს არის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დოქტრინა, 1789 წლების პრინციპებია, რომელნიც თანამედროვე მოქალაქობის და ცივილიზაციის საფუძვლად არიან ჩაყრილნი“.

აი დაუმახინჯებელი პოზიცია ნ. ნიკოლაძისა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა სრულის მიუდგომლობით გადმოგვეცა იგი მკითხველთა საყურადღებოდ, რათა მკითხველებმა თვითონ დასდევან მსჯავრი და მონათლონ ჩვენი ავტორის აზრები ისე, როგორც ინებებენ. რაც ჩვენ შეგვეხება, ამ სისტემას, რა თქმა უნდა, სავსებით ვერ გავიზიარებთ. ჩვენს თვალში მას ის ღირსება აქვს მხოლოდ, რომ მასში ვხედავთ პირველ ცდას ერთა შორის ურთიერთობის რეგულიზაციისას. მაგრამ ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ.

**არჩილ ჯორჯაძე.**

1) იხ. „Кавказъ“ 1899 წ. NN 18, 19, 32, 33. Органическіе пороки" городского самоуправленія.

2) კურსივი ყველგან ავტორისაა.

## ადგილობრივი პრესა

ამ რამდენისამე ხნის წინად, როდესაც „სახალხო გაზეთსა“ და „ახალ გზას“ შორის კამათი იყო გამართული საქალაქო არჩევნების შესახებ, ეს უკანასკნელი გაზეთი, სხვათა შორის სწერდა: „მათ (ე. ი. სომხის ბურჟუაზიას) მართლაც არა ნაკლებ ეჯავრებათ ინტერნაციონალისტები, მარა თუ იძულებულნი არიან ისინი სამსახურში მიიღონ, ეს იმიტომ, რომ მათში ძალასა ხედავენ“.

უკანასკნელ დღეებში კი „მნათობი“ გვარწმუნებდა, მართალია მშრომელი მასა პირდაპირ ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს არჩევნებში, მაგრამ მას შეუძლიან გავლენა იქონიოს ბურჟუაზიულ კლასზე და თავისთვის სასარგებლო კანდიდატები აარჩევინოსო.

ეს სიტყვები მოგვაგონდა, როდესაც „მნათობის“ უკანასკნელ ნომერში ჩვენკენ მომართული შეკითხვა წავიკითხეთ.

„მნათობს“ მოჰყავს ცნობა, რომ ტფილისში შესდგა საერთო საარჩევნო ბიურო, რომელშიაც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლებიც შედიან, და გაკვირვებული გვეკითხება, „სახალხო გაზეთი“ ხომ სომხის ნაციონალისტებს ებრძოდა, ეხლა მეთთან ერთად საერთო ბიუროს რად აარსებსო.

ჩვენს თავს ნებას და მივცემთ შეკითხვაზე შეკითხვითვე ვუპასუხებთ. არ შეიძლება აგვიხსნათ, დემოკრატიულმა ჯგუფმა, რომელიც დღეს თქვენს მფარველობაში იმყოფება, ვისი ხმებით გაიყვანა თავისი კანდიდატები? თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა დემოკრატიულ ჯგუფის მომხრე იყო, მაშინ უეჭველად ხმოსანთა უმრავლესობაც დემოკრატიულ ჯგუფისაგან შესდგებოდა, თუ იგი უმცირესობას შეადგენდა, მაშინ სხვებთან შეუთანხმებლად ვერც ერთს კანდიდატს ვერ გაიყვანდა.

აი, ამას გვეუბნება ლოღიკა და, თუ თქვენც კარგად ჩაუკვირდებით საქმეს, მიხვდებით, რაშიაც არის საქმე...

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მომავალ წლისათვის 103,700 მან. თხოულობს. ადგილებს გამოიკვლევენ კავკასიასა, ყუბანის ოლქსა და აფშერონის ნახევარ კუნძულზე.

✦ **ტფილის-კოჯრის რკინის გზის თაობაზე** ინჟინერ კოგნოვიცკის განცხადების გამო მიწად მომქმედ და მიწად მომწყობ მთავარ გამგის რწმუნებულმა ნამესტნიკის კანცელიარიას შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა: 1) 1907 წლის ხელშეკრულობის ძალით ქალაქის თვითმმართველობისა და ბატისოვ-ბრაილოვსკის შორის სოლოლაკის გვირაბი ქვეტკირით უნდა აშენდეს, 2) ყოველ წლივ ბოტანიკურ ბაღის დირექციის სასარგებლოდ კონცესიონერებმა მოძრაობის დაწყების შემდეგ 1500 მანეთი უნდა მიიღონ. საქალაქო საქმეთა საკრებულომ, რომლის კრებასაც რწმუნებულის თანაშემწე ვ. შიმანოვსკი და ბოტანიკურ ბაღის დირექტორი როლლოვი დაესწრნენ, ეს ხელშეკრულება დაამტკიცა, თუ კონცესიონერების ხელიდან ქალაქის ხელში გადავა, ხაზინა არაფერს ჰკარგავს და ამიტომ ხელშეკრულობის შესაფერ მუხლის შეცვლა შესაძლოდ სცნო. კოგნოვიცკისა და მარქარიანის წინადადებას საწინააღმდეგო რწმუნებულს არაფერი აქვს, პირიქით, ძლიერ სასიამოვნო იქნება თუ გვირაბის გაყვანა დამთავრდებაო. მხოლოდ ბრაილოვსკის და ბატისოვთან ხელშეკრულების დაძველების გამო ახალი ხელშეკრულების დადება საჭიროა საზოგადოებასთან და არა კერძო პირებთანაო. ბოტანიკურ ბაღის დირექციასაც საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე კაპიტანი სტროევი ავადმყოფობიდან განიკურნა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა ბოქაულებსა და მაძებარ პოლიციის უფროსს განკარგულება დაუგზავნა, სასტიკი ზომები მიიღონ 23 წლის მიხეილ **კონდუღარიანცის მოსაძებნად**, რომელიც 21 სექტემბერს, რევაზოვის ქუჩაზე მდებარე სახ. № 22 წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

✦ **ტფილისის** გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს სთხოვა დაამტკიცოს სოფ. **კავთისხევის** (გორის მაზრა) საზოგადოების დადგენილება, რომ იქაურ პირველდაწყებით სასწავლებელში მესამე კომპლექტი დაარსდეს.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ცხრა წლის **კნ. ნადუნია რუსიშვილ-შილდელმა** ასულმა ასი ცალი მხატვრული ღია ბარათი შემოსწირა, რომელიც თავის ხელით დაუხატია. სურათები აკვარელით არის ნახატი და ყურადღებას იპყრობს ტეხნიკის სიმდიდრით.

✦ ნამესტნიკმა დაამტკიცა ნამესტნიკის საბჭოს დადგენილება, რომლითაც 1000 მან. ხარჯთ-აღრიცხვის გარედ გადაიდო მიწად-მოქმედების მთავარ რწმუნებულის განკარგულებაში **კახეთში ფილოქსერასთან საბრძოლველად**.

✦ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება დღეს მოხდება. განსახილველი აქვს 11 საქმე.

# გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში

**3) დასვენება გერმანელებისა:**

**კვირა დღე კოლონიებში.**

გერმანელი გამუდმებულ შრომაშია; იმას უსაქმოდ ვერა ნახავთ. თუ გერმანელს საქმე არა აქვს, სახლში ჩხირკედელაობს: ან ბოქლებს უვლის, ან ფურგუნს, ან რომელიმე სადურგლო ან სამჭედლო საქმეს აკეთებს. მხოლოდ კვირაობით ისვენებს. კვირის გარდა იმათ სხვა უქმეები არა აქვთ. გერმანელებს კვირა ძალიანა სწამთ. ამ დღეს არც თითონა მუშაობენ, არც საქონელს ამუშავებენ. კვირაობით ყველანი საუკეთესოდ ირთვებიან. ამ დღეს სამჯერა აქვთ წირვა: დილით დიდებისათვის, სადილთ უკან პატარებისათვის, შემდეგ — მოზრდილთათვის და იმათთვის, ვინც პირველ ზიარებისათვის ემზადება.

გერმანელები ქრისტიანები არიან, ლიუტერის რწმენისა. იმათ არც წმიდანები სწამთ, არც ბერობა, არც ხატები, არც მარხვა, არც საიდუმლოებანი, გარდა ზიარებისა და ნათლობისა. სწამთ მხოლოდ სამღრთო წერილი და ეკლესიაში მხოლოდ სახარება უძევთ. ეკლესიის სხვა რაიმე სამკაული არა სწამთ.

გერმანელები მღვდელს პასტორს ეძახიან. პასტორს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული.*) ჩაცმა-დახურვით პასტორი ერის კაცისაგან არ განსხვავდება; იგი არც თმასა და წვერ ულვაშს უშვებს, არც ანაფორას იცვამს, როგორც ჩვენი მღვდლები; არც წვერ ულვაშს იპარსავს, როგორც ფრანგების მღვდელი. პასტორი არც ცხოვრებით განსხვავდება ერის კაცისაგან: იმას შეუძლიან იყოს უცოლო და შემდეგ, პასტორობის დროს, ცოლი შეირთოს. თუ დაქვრივდა, მეორე ცოლის შერთვაც შეუძლიან. წირვის დროს პასტორი იცვამს ანაფორის მსგავსს ჩასაცმელს და ყელზე თეთრ გალსტუკს იკეთებს.

გერმანელების წირვა არის პასტორის ქადაგება, სახარების კითხვა და პატარ-პატარა საგალობელთა გალობა. საგალობლები — ეს პატარ-პატარა სამღთო შინაარსის ლექსებია, ისინი დაწერილებია გერმანელების მოლექსეებისაგან.

*) რუსეთში პასტორები სწავლას იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტის სასულიერო-მეტყველო ფაკულტეტზე იღებენ.

ეკლესიაში მლოცველები სკამებზე სხედან. წირვა იწყება საგალობლებით. ხელში ყველას საგალობლების წიგნი უჭირავს. კედელზე ჩამოკიდებულია იმ საგალობელთა ნომრები, რომელნიც იმ დღეს უნდა იგალობონ. ეკლესიის არღანი**) დაიწყებს დაკვრას, და მლოცველებიც არღანს აჰყვებიან. გალობის შემდეგ პასტორი წაიკითხავს სახარებას. შემდეგ ისევ იგალობებენ, რის შემდეგაც პასტორი ქადაგების ამბობს, ქადაგებას კიდევ გალობა მოჰყვება, და წირვაც გათავდება. გალობაში სულყველანი იღებენ მონაწილეობას.

უპირველესი ალაგი გერმანელების წირვისა პასტორის ქადაგებას უჭირავს. პასტორი უმთავრესად მქადაგებელია. თავისის ლამაზისა და შინაარსიანი სიტყვით იგი დააინტერესებს ხოლმე მსმენელებს, და ამისათვის ყოველ კვირა ეკლესია ხალხით სავსეა.

როცა წირვა გათავდება, ყველა თავ თავის სახლში მიდის სადილის საჭმელად. სადილთ უკან იწყება პაწაწების წირვა. აქაც პაწაწები ერთად არღანზე აყოლებით გალობენ. შემდეგ კი ისინი ჯგუფ-ჯგუფებად იყოფებიან. ყოველივე ჯგუფს თავისი დამრიგებელი ანუ მასწავლებელი, ჰყავს. დამრიგებლებად თითქმის სულ ქალები არიან. ყველა დამრიგებელი თავის ჯგუფს უამბობს იმ დღეისათვის დანიშნულ სამღთო მოთხრობას, და განუმარტავს. შემდეგ ისევ საერთო გალობაა, რის შემდეგაც პასტორი ქადაგებას ამბობს. ბოლოს პატარეები გალობენ, და წირვაც ამით თავდება.

**) ხალხური არღანი ხულ ხზვაა და ხამიკიტნოს არღანთან ხაერთო არაფერი აქვს.

პატარეების წირვის შემდეგ მოზრდილების წირვა იწყება. ამ წირვას ესწრობიან ესე 13—18 წლის ახალგაზდობა და მოხუცებულებიც, ეს წირვაც სხვა წირვისთანაა. მხოლოდ ამ წირვას უნდა უსათუოდ დაესწროს ის, ვინც პირველი ზიარებისათვის ანუ კონფორმაციისათვის ემზადება. ჩვენში ვიცით პატარა ბავშვებსაც კი ვაზიარებთ ხოლმე. გერმანელებმა კი ესე არ იციან. იმათი აზრით, კაცი უნდა ეზიაროს მხოლოდ მაშინ, როცა შეასწავლის სამღთო წერილს და მნიშვნელობას გაიგებს. ხუთმეტ წელიწადს ადრე ზიარება არ შეიძლება. ვისაც უნდა პირველად ეზიაროს, ჯერ გამოსცდიან. გამოცდა ასე ხდება. როცა გერმანელი ბავშვები სახალხო სკოლას ათავებენ, მიდიან და პასტორთან ეწერებიან. პასტორი იმათთან მეცადინეობს სამი თვის განმავლობაში. იგი მათ მხოლოდ სამღთო წერილს ასწავლის. როდესაც ესენი მოემზადებიან, ერთ დანიშნულ კვირას ეკლესიაში იმართება იმათი გამოცდა. პასტორი შუა წირვის დროს საჯაროდ აძლევს თვითეულ მათგანს კითხვებს. ვინც სულ ვერაფერს მიუგებს, იმას ხელმეორედ დასჭირდება მომზადება. ვინც საჭირო ცოდნას გამოიჩენს, იმავე დღესვე ეზიარება და ქორწინების უფლებაც ეძლევა. ვინც ასე, საჯაროდ, არ გამოუცდიათ, ქორწინების უფლება არა აქვთ.

**4) სხვა და სხვა სარწმუნოებრივი წესები:** მონათვლა, ჯვარის წერა, და დამარხვა.

რახან ეკლესიაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ურიგო არ იქნება გაგაცნოთ გერმანელთა სხვა და სხვა სარწმუნოებრივი წესები, დავიწყოთ ნათლობიდან. მონათვლის დროს ბავშვს წყალში ამოავლებენ როგორც ჩვენში, და არც მირონსა სცხებენ. პასტორი თბილ წყალში ჩაჰყოფს ხელს ნათლობის დროს და ბავშვს თავზე მოუსვამს. გერმანელები ჯვარს არც თვითონ ატარებენ და არც ბავშვს დაანათლებენ ხოლმე.

ჯვარის წერის დროს, ზიარება არ იციან. პასტორი ჯვარს რამდენიმე წყვილს ერთად სწერს. მეფე-დედოფალნი ჯვარის წერის დროს სხედან; როცა ჯვარის წერა გათავდება პასტორი მეფე-დედოფალს სახარებას ურიგებს. ნათესაობა გერმანელებმა თითქმის არ იციან; მაგალითად. ორ ძმას შეუძლიან ორი და შეირთონ; ან როცა კაცს ცოლი მოუკვდება იგი ცოლად თავის ცოლის დას მოიყვანს ხოლმე: ამისთანა დედინაცვალი თავის გერებისათვის (დისწულებისათვის) კეთილი იქნებაო.

დამარხვა გერმანელებმა სხვა ნაირად იციან, ვიდრე ჩვენ. ისინი მიცვალებულს ხელებს არ უმართავენ, და ჰირისუფალს დამარხვაზე არავითარი ხარჯი მოსდის. ჩვენში მიცვალებულს სასაფლაომდე ხელით წაასვენებენ ხოლმე, შემდეგ ჰირისუფალი იძულებულია ხალხს პატივი სცეს და ქელეხი გადაიხადოს. გერმანელები კი მიცვალებულს სასაფლაომდე ბალდახინით (ეტლით) მიასვენებენ. ბალდახინი სასოფლოა, საზოგადო, და ქირას არ იხდიან. ცხენებს ბალდახინში ჯერ-ჯერით აბამენ.

თითქმის მთელი ახალშენი, მეტ ნაწილად კი დედაკაცობა, მიცვალებულს უკან მისდევს, მამაკაცები ხშირად შინ არ არიან, სამუშაოდ არიან გასულები და ამის გამო მიცვალებულის გასაყოლად „პატივსაცემად“, არა სცალიათ. მიცვალე-

◆ **მხცოვანი პედაგოგი ნ. ზ. ცხვედაძე**, რომელიც ამ ჟამად სოფელ კავთისხევში (გორის მაზრა) იმყოფება, ავად გამხდარა.

◆ **სოფ. ბლის** (გორის მაზრა) საზოგადოების რწმუნებულმა გ. დ. მაჭარაშვილმა წვრილ კრედიტის გამგეობიდან ცნობა მიიღო, რომ **წვრილ კრედიტის ამხანაგობის** გახსნის ნება დართეს და შეუძლიათ ძირითად თანხად 1000 მანეთი, ხოლო მოკლე ვადიან სესხად 3000 მანეთი გაიტანონ სახელმწიფო ბანკიდან.

◆ **რედაქციამ მიიღო მოსკოვში გამოცემული რომანსები ჩვენი თანამემამულე კომპოზიტორის არაყიშვილისა.** მოგვყავს სია ამ რომანსებისა: 1) ნუ მღერი, ლამაზო, (მეცცო სოპრანოსა ან ბარიტონისათვის); 2) გული, (სოპრანოსათვის); 3) ჯერ კიდევ ბევრია ჰანგი, (ტენორისათვის); 4) გაფიზიდან (ტენორისა ან სოპრანოსათვის); 4) სიზმარი ვნახე, (სოპრანოსათვის); 6) ქართული სიმღერა (ხოროსათვის); 7) გაზაფხულის მელოდია (ხოროსათვის); 8) საქართველოს კორდებზე, (ტენორისათვის); 9) გაფიზიდან, (სოპრანოსა და ტენორისათვის). სიტყვები ყველა ამ რომანსებში რუსულია.

◆ **ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ბ. მ. ხალათიანი**, რომელიც ამ ზაფხულს არქეოლოგიურის მიზნით ყარსის ოლქსა და გუმრის მარაში იყო, ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **ციხეების დასათვალიერებლად** პეტერბურგიდან ჩამოსულა საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უფროსი ბ ნი გომოლიცკი. რევიზიას უკვე მორჩა და პეტერბურგს დაბრუნდა. რევიზიის შედეგი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია

◆ ხვალ ტფილისში ბაქოდან მოელიან ნავთის მრეწველთა საბჭოს სკოლის მოსწავლეთა **ექსკურსიას.** ექსკურსანტებს ქალაქის გამგეობამ ბინა უკვე მოუმზადა.

◆ **ციხიდან გაანთავისუფლეს** 4 5 დღის წინად დაპატიმრებული ქ-ნი პოპოვიანი, რომლის ქმარიც ნაფიც ვექილის თანაშემწე პოპოვიანი მეოთხე თვეა მეტეხის ციხეში ზის.

◆ 10 და 20 სექტემბრამდე ტფილისში გადამდები სენით ავად გამხდარა 19 კაცი: 6—სალფლით, 10—ხუნაგით, 1—ციმბირის ჭირით, 1—სისხათი და წითელი ქარებით—1.

◆ ქალაქის საავადმყოფოებში 10 და 20 სექტემბრამდე ავადმყოფები იყო: არამიანცის საავადმყოფოში: 120, მიემატა 61, გაეწერა 49, გარდაიცვალა 6, დარჩა 126. ქალაქის ბარაკებში ავად გახდა: ხუნაგით—7 (ერთი გარდაიცვალა), სალფლით—2 და ყელჭირვებით—3, ალექსანდრეს სახელობის კანისა და ვენერიულ საავადმყოფოში: 23 კაცი და 10 ქალი.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია **ქალაქის საბჭოს დარჩენილ გადასახადთა კომისიის კრება**, კრებამ უნდა განიხილოს სხვა და სხვა პირთა საჩივარი, უკანონოდ გაწერილ დარჩენილ გადასახადებისა.

◆ **სახოგადო კლუბში** (ბირჟის დარბაზში), დღეს, საღამოს 8 საათზე, ა. თ. სნარსკი წაიკითხავს **რეფერატს:** „სიმბოლიზმი და რეალიზმი ლიტერატურული დახასიათება იბანიესისა", რეფერატის შემდეგ ბაასი გაიმართება.

## სასწავლებლებში

◆ **ქალაქის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლებმა** გუშინ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას საერთო განცხადება მისცეს. განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მათ უკანონოდ მიაჩნიათ ხარფუხის ქართულ სკოლაში ახალის გამგის დანიშვნა და სთხოვენ, კომისიამ თავის დადგენილება ხელ-ახლა გადასინჯოს. მასწავლებელნი ამასთანავე შეამდგომლობენ, თუ ჩვენი განცხადების განხილვას შეუძლებლად იცნობთ, მაშინ იგი ქალაქის საბჭოს წარუდგინეთ განსახილველადაო.

◆ **საბალახო სკოლის** უფროს კლასის მოსწავლენი სკოლის გამგის ბ-ნ მელიას ხელმძღვანელობით გორის მაზრაში იყვნენ სხვადასხვა ბალების დასათვალიერებლად და გასაცნობად.

## ხ ო ნ ი.

15 სექტემბერს აკაკი პაპავას ქართველ ახალგაზდა პოეტებზე ლექცია წაიკითხა. ხალხი ძრიელ ცოტა დაესწრო. შემოვიდა სულ 11 მან. 15 კაპ.

ბოქაულ ლოლუას მაგიერ გადმოყვანილი კ. ლორთქიფანიძე ჩამოვიდა.

წელს ადგილობრივ პროგიმნაზიის მე-5 კლასი გაიხსნა. სწავლა უკვე დაიწყო.

## სოხუმი

◆ **სოხუმი.** შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველებმა **ეკლესია** გაძარცვეს და 200 მანეთი წაიღეს.

◆ **სოჭი.** შუადღისას ნოვოროსიისკ-გაგრის **დოღში მონაწილე ავტომობილები** მოვიდა, კომანდორის ავტომობილმა ყველას მოასწრო.

## ერევანი

◆ ქ. ერევნის სახალხო სკოლების დირექტორი 1 ოქტომბერს ქალაქის ქუჩებში ხეთა-რგვის **დღესასწაულს** აწყობს. მოწაფეები და მასწავლებლები ერთი საათის განმავლობაში მთელ ქალაქის ქუჩებში ხეებსა ჰრგავენ. რადგანაც კავკასიის სამოსწავლო ქალაქის მზრუნველი ამ დღესასწაულს დიდ მნიშვნელობას აძლევს. დღესასწაულში მონაწილეობისათვის მეთ ოდიურ კურსების მსმენელთაც იწვევს, ამიტომ მან ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ადმინისტრაციას სთხოვა დღესასწაულისათვის ნერგები უფასოდ დაუთმოს

## პროვინცია

◆ **სოფ. ფახანაური** (დუშეთის მაზრა). სასოფლო-სამკურნალოს უფროს ფერშლის ნიკოლოზ ზარკაძის მეუღლე სიდონია ღოთიძის გულისთვის ქმარს წაეჩხუბა; მერე, გაჯავრებულ გულზე, კარბოლის სიმჟავე დალია. ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ **სოფ. იორო-ომულანლო** (სიღნაღ. მაზრა). ბაბა ბაქირ ოღლიმ და ძმათა მირ ისმან ოღლიმ ხნულის დროს თოფით მძიმედ დასჭრეს თავისავე ეზოში ორუჯ ხან ოღლი. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

# ქუთაისის აპ-კარგი

კარგად, არ მახსოვს, აპრილი იყო თუ მაისი, საბჭოში ხმოსნება მახარეს, კანცელარისა და ქალაქის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს წყლის საყვანის ხელშეკრულობასაო.

თითო-ოროლა ხმოსანი ალმაცერად უყურებდა ამ საქმის დაკანონიერებას —ზოგი—წინაღმდეგი იყო კონცესიისა.

წარსულ ორშაბათს-კი სულ სხვა გამოირკვა; თურმე ნუ იტყვით, კონცესია ქალაქისათვის საზარალოა და საბჭოს წინაღმდეგი არ იქნება, თუ სთანადო მთავრობა წარდგენილ ხელშეკრულებას არ დაამტკიცებს, მაშინ ქალაქის საბჭოს შეუძლიან ოჯახურის წესით მოაგვაროს ეს საქმე.

ხოლო ამისათვის ქალაქის თავს დამზადებული ჰქონოდა მოხსენება ორმილიონ სესხის თაობაზე.

მოხსენებაში აღნიშნულია ქალაქის საჭიროებანი და მათი განხორციელებისათვის საჭირო დაახლოვებითი თანხა; ამასთანავე საბჭოსადმი მიმართვა, რათა მან ქალაქის თავს ნება დართოს მოლაპარაკება გამართოს კაპიტალისტებთან სესხის თაობაზე, ხოლო იმით საბჭოს უფლება არ ერთმევა დაწვრილებით განიხილოს ქალაქის გამგეობის მიერ განზრახული განსახორციელებელი საქმეები.

მართალი რომ სთქვას კაცმა, მოხსენება დასაბუთებული არ აღმოჩნდა, მაგრამ მეორეს მხრივ საბჭოს პასუხისმგებლობას არა სთხოვდნენ; მიუხედავად ამისა მაინც აღმოჩნდა თითო-ოროლა ხმოსანი, რომელიც საზოგადოდ სესხის აღების წინააღმდეგნი შეიქმნენ; ამას კიდევ შეუწყო ხელი იმან, რომ ასეთი საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გაძლიერებული რიცხვი საბჭოს წევრებისა და საქმე გადაიდო.

იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც ქალაქის გამგეობა, ისე საბჭო არ გადაუდგებიან ახლად არჩეულ გზას და ქალაქის მეურნეობის გაკარგებას რაციონალურ ნიადაგზე დააყენებენ.

ე. ვ. ქ.

## ქუთაისის გუბერნატორის ბ. მ. სლავოჩინსკის პასუხი გოფმეისტერ პეტერსონის მოხსენების გამო *).

მთავრობის მისწრაფება, რომ თავისი მოქმედება სარევოლუციო მოძრაობის წინააღმდეგ კანონის ფორმას შეუთანხმოს, სასურველია, მაგრამ მარტო თეორიაში, ცხოვრებაში კი არა სასურველ შედეგს გამოიღებს. ცირკულიარის № 36552 უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ იგი მთელს იმპერიას ერთსა და იმავე რჩევას აძლევს. ამით მტკიცდება, ვითომ ცხოვრება და განათლება მთელს რუსეთში ყველგან ერთი იყოს, როგორც რუსეთის ცენტრსა, ისე ამიერ კავკასიაში. ეს კი ასე არ არის. და თუ მთავრობის მოქმედება იქითკენაა მიმართული, რომ ნელ-ნელა ძველს ნორმალურ მმართველობას დაუახლოვდეს, ეს მოქმედება მკვიდრთა ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული... ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორის რჩევანი ამ ჟამად სრულიად უარყოფილ უნდა იქმნეს. ის მოსაზრება, რომ სავალდებულო დადგენილება, ნებადაურთველად იარაღის ტარების თაობაზე ადმინისტრატიულის დასჯით შეეცვალოთო, მუხ. 117 და 118 მიხედვით, რომელსაც მოსამართლე განაგებს, ამ ბოროტების წინაღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებაა. ამ საკითხში ნათლადა სჩანს, რამდენად შეუძლებელია იმპერიისთვის საერთო წესების გამოცემა, რადგან შიდა რუსეთში იარაღის ტარება იშვიათი მოვლენაა, ამიერ-კავკასიაში კი—საყოველთაო. ამიტომ აქ ამ ბოროტებასთან ბრძოლის საშუალებაც სხვანაირი უნდა იყოს. ბოროტგამზრახველთა დაფარვა შიდა რუსეთში თუ ერთი და ორი კაცის საქმეა, ქუთაისის გუბერნიაში სულ სხვაა: თითქმის ყველა მცხოვრები ამის მომქმედია. ამიტომ ბოროტების აღმოსაფხვრელად აქ განსაკუთრებული წესებია საჭირო. ახლანდელ მდგომარეობის მიხედვით, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ამ მხრივ ადმინისტრაციის უფლება შევზღუდოთ. ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორის მოსაზრება, რომ თუ დამნაშავეთა მფარველობას დავუმტკიცებთ ვისმე დებულებათა მონაწილის მე-14 სტ: ძალით დავსჯით, მხოლოდ საქმის გარეგანი მხარეა, პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთა მისყიდვა ადვილია.

სარევოლუციო მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამქრალა. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი, ტრადიციის მიხედვით თავიდანვე ებრძოდნენ ადმინისტრაციას და ბოროტგამზრახველთ ჰფარავდნენ. აღმოსავლეთი, უპირველესად ყოვლისა, ანგარიშს უწევს მხოლოდ ძალას, ჰუმანობა კი სისუსტედ მიაჩნია. ამიტომ ყველა ასეთ საშუალებას მცხოვრებნი მთავრობის სიმძლავრედ არ ჩასთვლიან. ამისთანა შეცდომის შედეგი ჩქარა იჩენს თავს და საქმის გამოსაბრუნებლად საჭირო იქნება ყველა არსებულ კანონთა დარღვევას დავუბრუნდეთ, როგორც ეს ქუთაისის გუბერნიაში 1906 წელს მოხდა.

*) ეს ადგილი წაიკითხა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე დ. ღ. ნიჟარაძემ, რომელიც იმავ დღეს წინამძღოლად აირჩიეს.

# გრიშა აბაშიძის საფლავი

სამშობლო ქვეყანას მოწყვეტილი, ყველასაგან მივიწყებულ გრიშას გვამი ვოლკოვოს სასაფლაოზე ჰმარხია რუს-მწერლების საფლავების რიგში. დიდებულ ნ. კ. მიხაილოვსკის გვერდით. იქვე ახლოს მარხიან დობროლიუბოვი, ბელინსკი, პისარევი და ბევრი სხვა. მათს საფლავებს მშვენიერი ძეგლები ადგას, გარშემო ცოცხალ ყვავილებით შემკული. მარტო აბაშიძის საფლავი გამოიყურება საცოდავად და ობლად. ეტყობა, სრულებით თავ-მინებებულია და არავინ ზრუნავს მისთვის. საფლავზე უბრალო ხის ჯვარი ახვია, რომელიც მალე დალპება და საყვარელი მგოსნის საფლავიც დაიკარგება. თუ აბაშიძის ნაშთის გადატანა სამშობლო ქვეყანაში ძნელია, უბრალო ქვა მაინც უნდა დაედოს, რომ ეს ძვირფასი საფლავი მაინც არ დავკარგოთ: თუ ხელის მოწერით ძნელია, მაშინ წარმოდგენის გაჰართვით ან სხვა რაიმე საშუალებით უნდა მოეწყოს ეს საქმე.

გ. გელაშვილი.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

ამ სამი დღის განმავლობაში მეომარ მხარეთა მდგომარეობა მცირედ შეიცვალა. ოსმალეთის ფლოტი ეგეის ზღვიდან საჩქაროდ გაეშურა დარდანელისაკენ. იტალიის ესკადრამ გზა ვერ გადაუღობა და იგი დარდანელს მივიდა. ამგვარად ოსმალეთის ფლოტი სრულ განადგურებას გადაურჩა. ჯერ-ჯერობით იტალიის ესკადრა მაინც ეგეის ზღვაშია და, ალბად, ომის დროს სულ იქ დარჩება, რათა შეუძლებელი ჰყოს ოსმალეთის ფლოტის დარდანელისაკენ წასვლა. ამავე დროს ეს ესკადრა სრულიად ჰსპობს ვაჭრობას ოსმალეთის სამ უმთავრეს სავაჭრო პორტებისას: სმირნასი, ბეირუთისა და სალონიკისას.

იტალიის მეორე ესკადრა, როგორც წინედ გვქონდა მოხსენებული, ართოს ყურესთან ოსმალეთის ნაღმოსნებს დაეცა და ორი მათგანი დაღუპა კიდეც. ეს ნაღმოსნები, როგორც ეხლა გამოირკვა, ოსმალეთის ნაღმოსანთა იმ ესკადრას (6 ნაღმოსანი) ეკუთვნოდა, რომელიც ამ გაზაფხულს გაგზავნა ოსმალეთის მთავრობამ ალბანეთის ნაპირებისაკენ მეამბოხეთათვის იარაღის მიწოდების საშუალების მოსასპობად. როგორც დეპეშებიდან გამოირკვა, იტალიელებს სრულიადაც არ გადაუყვანიათ ჯარი პრევეზასთან. მართლაც გასაოცარიც იქნებოდა ასეთი მოქმედება იტალიისა იმის შემდეგ, ჯრაც თვითონ მრავალჯერ განაცხადა და ბალკანეთის სახელმწიფოებს განსაკუთრებითი ნოტითაც აუწყა—ბალკანეთში მშვიდობიანობის დარღვევის წინააღმდეგი ვარო. ასეც რომ არ იყოს, საეჭვოა იტალიამ დიდი ჯარის გადმოსხმა მოინდომოს ოსმალეთის ნაპირებზე. ეს მისთვის ხელსაყრელი არ იქნება, თუ მას საბერძნეთთან კავშირი და ალბანელთა ამბოხების იმედი არ აქვს, ვინაიდან ოსმალეთს ძლიერი ჯარი ჰყავს და მასზე გამარჯვება იტალიელებისათვის უცნობ ქვეყანაში ძლიერ საეჭვოა. უფრო წარმოსადგენია, რომ იტალიასა ჰსურს მოსპოს ან ხელში ჩაიგდოს ოსმალეთის ესკადრა და პორტი პრევეზა თავისი ფლოტის საოპერაციო ბაზისად გახადოს. ამის დამამტკიცებელი საბუთიც არის. თუ „რეიტერის სააგენტოს" შეცდომაში არ შევყავართ, ჰერცოგ აბრუცცის მოუთხოვია პრევეზას უფროსისათვის ყველა სამხედრო გემების ზარბაზნებისა და პორტის დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნებით განადგურებას უქადის.

იტალიის ჯავშნოსან ესკადრის უფროსი ადმირალი ფირაველლი ტრიპოლის ნაპირებს მიადგა და 20 სექტემბერს სროლა აუტეხა ქ. ტრიპოლის სიმაგრეებს. უკანასკნელებმა პასუხი გასცეს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალთა სიმაგრეების ზარბაზნებმა იტალიის ფლოტამდე ვერ მიუწია, რადგანაც იტალიის ფლოტს 12 დიუმიან ზარბაზნებიდან შეეძლო დიდი მანძილიდან ემოქმედნა. სროლამ მზის ჩასვლამდე გასტანა და ცხადია, დიდი ზიანი მიაყენა ტრიპოლის, ვინაიდან სროლის შემდეგ იტალიელმა ადმირალმა მოსთხოვა ოსმალეთის ჯარების უფროსს იარაღის დაყრა და სიმაგრეების დაცლა. უკანასკნელმა დრო ითხოვა საკითხის გადასაწყვეტად.

როგორც თანდათან ირკვევა, ტრიპოლიში ოსმალეთს 15—17 ათასი ჯარის კაცი ჰყოლია 36 ზარბაზნით. ამას უნდა მიუმატოთ იქაურ მკვიდრთა რაზმები, რომლებიც უსათუოდ შესდგება. ამ ჯარს ფეტრიბეი უფროსობს. ეჭვს გარეშეა, ოსმალეთის სარდალი იძულებული იქნება დასტოვოს ზღვის ნაპირები, ახლო მახლო ქალაქები და უკან დაიხიოს მთებისაკენ, სადაც სასტიკ წინააღმდეგობას გაწევს შეუძლიან იტალიელებისათვის, რომელთაც იაფად არ დაუჯდებათ ტრიპოლის დაპყრობა და ოსმალეთის ჯარის დასამარცხებლად დიდი ძალი ჯარის გადაყვანა დასჭირდებათ.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

22 სექტემბერი.

**სტამბოლი.** პორტს დერნიდან ტუნისით ატყობინებენ, ქალაქს ყუმბარები დაუშინეს, რადის ტელეგრაფის სადგური დაანგრიეს.

იანინის ვალი დეპეშით იტყობინება, ზღვის ნაპირს იტალიის კრეისერები დადიანო.

გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი ვენაში მყოფ ელჩს რეშიდ-ფაშას შესთავაზეს. საიდ-ფაშამ კაბინეტი შეადგინა, რომელშიაც ძველი მინისტრი შემდეგია: სამხედრო—მაჰმუდ-შევკეთ, ფინანსთა—ნაილი, სახალხო განათლებისა—აბდულაჰმანი, საზოგადო სამუშაოთა—ქოლოუზონი. ახალი.—შინაგან საქმეთა—ადრიანოპოლის ვალი ჯალალი; საზღვაო—ხონთქრის ადიუტანტი—ხორშიდ-ფაშა, ფოსტისა—არქიპელაგის ვალი იბრაჰიმ-სუზა, სამთო—(?), ვაკუფთა მინისტრად ნამყოფი, სომეხი სიპაჰინუ ქამრი (?), რომელმაც იუსტიციის მინისტრობა მიიღო და ცოტა ხნის ძველს თანამდებობასაც ასრულებს. დიდი ვეზირი საიდი დროებით გარეშე საქმეთა სამინისტროს განაგებს.

სოფიის მეჩეთში კრებას დაუდგენია, შუამავლობა იტალიასთან შესარიგებლად, სამას მილიონ მაჰმადიანთა მბრძანებელს ინგლისის მეფეს სთხოვოს.

სომეხთა პარტია „დაშნაკცუთუნმა" მანიფესტი გამოსცა, რომლითაც ომის შეწყვეტას თხოულობს. შეიხ-ულ-ისლამად ეგვიპტელი ალი ქაზიმ აირჩიეს.

ინგლისელთა წრე ახალის კაბინეთის შედგენილობის უკმაყოფილოა და ამბობს, ჩქარა დაიშლება. ეგვიპტის ცნობას, ვითომ ინგლისს ოსმალეთის ჯარისთვის ეგვიპტეზე გავლის ნება მიეცეს.

---

ბულის გასვენებისას გზადაგზა გალობენ. სასაფლაოზე პასტორი სიტყვას ამბობს, რომლითაც ქირისუფალთ ანუგეშებს. შემდეგ კუბოზე დააყრის მიწას, და მიცვალებულს მიწას მიაბარებენ. უნდა შევნიშნო, რომ კუბოს თავი სულ დახურულია და გზაშიაც არ ჰხდიან, როგორც ეს ჩვენში იციან. დამარხვის შემდეგ ხალხი თავ-თავის სახლში მიდის.

გერმანელებს სასაფლაო ცალკე აქვთ, ახალშენის გარედ, და არა ეკლესიის ეზოში, როგორც ეს იმერეთშია. სასაფლაოს გარშემო გალავანი აქვს. გერმანელები ძალიან უვლიან სასაფლაოს. საფლავებზე დარგულია ხეები დათესილია ყვავილები, რომელსაც მუდამ-დღე რწყავენ. ამისათვის სასაფლაო ლამაზი სანახავია.

თავის მკვლელს გერმანელები სასაფლაოს გარედ მარხავენ. წლის წირვა, ან ორმოცისა, ან პანაშვიდები გერმანელებმა არ იციან.

ყოველივე საეკლესიო წესის გადახდა, გარდა ქორწინებისა და ზიარებისა, მასწავლებელსაც შეუძლიან. გერმანელების თვალში მასწავლებელი იგივე პასტორია, და მას დიდი პატივისცემით ეპყრობიან. როცა პასტორი არ არის, საეკლესიო წესებს მასწავლებელი ასრულებს: იგი სწირავს, მხოლოდ ქადაგებას წიგნიდან კითხულობს, ნათლავს, მარხავს.

## III

**1) ახალშენების მმართველობა:** თანამდებობის პირნი და მათი მოვალეობანი.

ახალშენს სათავეში მამასახლისი უდგას, რომელსაც „შულცს" ეძახიან. მამასახლისს ანუ „შულცს" სოფლის ყრილობა ირჩევს ოთხი წლით. იმას სამი თანაშემწე და ერთი მწერალი ჰყავს. ყველანი ჯამაგირს იღებენ თვეში რვა თუმნიდან დაწყობილი ხუთ თუმნამდე. რადგანაც ახალშენს ძალიან ბევრი სასოფლო დაწესებულება აქვს, შულცს ძალიან ბევრი საქმე აქვს. შულცი ყურს უგდებს სასოფლო შენობებს, წყალსადენს, სარწყავ არხს, ქუჩებს, განათებას. შულცს აბარია საზოგადო ფული, რომელიც სესხად ეძლევათ სოფლელებს. ამ ფულის სარგებელი სკოლის სასარგებლოდ მიდის. შულცი ყრილობის მიერ ამორჩეულებთან ერთად ვენახების მორწყვის რიგს აწესებს. სარწყავი წყალი თავისუფალი თითქმის არც როდის არის, არც დღე და არც ღამე. ერთი კვირის წინად დაახლოვებით ყველამ იცის, თუ როდის შეხვდება მორწყვის ჯერი. წყალს საათობით ნიშნავენ. ამის გარდა შულცი ყურს უგდებს სასოფლო მიწებსაც. თუმცა მიწები თითქმის ყველა გაყოფილია, და ყოველ მეკომურს მიწა საკუთრადა აქვს, მაგრამ ცოტაოდენი მიწები გასაყოფია, და ამ მიწებით მორიგეობით სარგებლობენ. მიწის გაყიდვის ან დაგირავების ნება მოახალშენეთ არა აქვთ.

საზოგადო საქმეებს კრება ანუ ყრილობა სწყვეტს. რადგანაც კვირა დღით გერმანელები არა საქმიანობენ, ამისათვის ყრილობა კვირაობით არ იმართება. ყრილობას მართავენ საქმე დღეს, ნეტ ნაწილად დილაობით სამუშაოზე წასვლის წინ, ხუთ-ექვს საათზე. ახალშენში ყრილობის მოხდენა ძალიან ადვილია. გერმანელებს ჰყავთ ერთი კაცი, რომლის მოვალეობას შეადგენს ხალხის დაძახება ან რაიმე საქმის გამოცხადება. ამ კაცს „ბიტელს" ეძახიან. როდესაც საჭიროა რაიმე გამოეცხადოს ხალხს, ბიტელი აიღებს ზარს და ქუჩა-ქუჩა დადის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალშენში ქუჩები სწორია და ადვილია ყველა ქუჩის ჩამოვლა. თუ საჩქარო საქმეა „ბიტელი" ცხენით დადის, თუ არა და ფეხით. ბიტელი ჯერ ზარს რეკავს, რომ ყურადღება მიიქციოს, შემდეგ კი ამბობს, რაც სათქმელი აქვს. ასე შემოუვლის ყველა ქუჩებს და ყველას გააგებინებს, რაც საჭიროა. ბიტელის საშუალებით სოფელში შეგიძლიათ გამოაცხადოთ, რაც კი გსურთ. მაგალითად, თუ ექებთ სახლს მიმართავთ ბიტელს, ჰსცემთ ათ შაურს (ეს არის დანიშნული კერძო განცხადების ფასად), და ის გამოაცხადებს სოფელში. თუ გინდათ რამის გაყიდვა, ან რამის ყიდვა ამასაც ბიტელის საშუალებით გამოაცხადებთ. თუ წარმოდგენის გამართვა გინდათ თქვენთვის საჭირო არ არის აფიშების გაკვრა, ბიტელი ყველაფერს გააგებინებს ხალხს.

ბიტელის საშუალებით ცხადდება, თუ რა ფასად უნდა გაიყიდოს ღვინო, და არც ერთ გერმანელსაც არ შეუძლიან იმაზე იაფად გაყიდოს ღვინო, რაც ბიტელის საშუალებით „შულცმა" და ამორჩეულმა კაცებმა გამოაცხადეს. ამისთანა ერთ პირობა კარგია და გერმანელები ძალიან კარგ ფასებშიაც ჰყიდიან ღვინოს. ბიტელის პირით ცხადდება, როგორც ღვინის ფასი, აგრეთვე ის, თუ რა ფასი უნდა მისცენ მათ ამა თუ იმ საქონელში. მაგ., ზამთრის დასაწყისში გერმანელებს წესადა აქვთ იყიდონ ღორები და გააკეთონ იმისაგან ლორები, კუპატები. ზამთრის პირში სომხები ჩამორეკენ ხოლმე ღორს. რადგანაც ყველა გერმანელს ესაჭიროება ღორის ყიდვა, ამისათვის მეღორეები ფასს ძალიან ასწევენ ხოლმე. ამ შემთხვევაში ბიტელით გამოცხადდება: ღორის ფეხი ესა და ეს არის და ვინც მეტს მისცემს, ის დაჯარიმებული იქნებაო. ასე ხდება განიხვრა.

გ. ჭუმბურიძე.

(შემდეგი იქნება)

უკვე ცნობილია, რომ ზღვაზე იტალიის გემები მიმოდის და ზარბაზნის ქუხილი ისმის.

**სალონიკი.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ევროპის საზოგადოებისა და მთავრობათა მისამართი მოწოდება შეიმუშავა. მოწოდება ითხოვეს, რამე ზომა მიიღონ ოსმალეთში მყოფ იტალიელთა დასაცავად და იმ გაზეთთა ასალაგმავად, რომელნიც ცრუ ცნობებს ავრცელებენ.

**ბერლინი.** იტალიის „სარწმუნო წყაროები იუწყება, ჰერცოგ აბრუცელს რადის ტელეგრაფისა და გაგზავნილ ნაღმოსანთ შეატყობინეს, ქალაქს ზარბაზნს ნუ დაუშენო. ბრძანება დანიშნულ დროზე მიუღია.

**მასსოვა.** ოსმალეთის ზარბაზნიანმა გემმა იტალიის გემს „ვესპუჩის“ მასსოვასა და ასაბის შუა სროლა დაუწყო, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

**რომი.** ოფიციალურად გამოაცხადეს: რადგან ოსმალეთმა იტალიის სავაჭრო ფლოტს პირველმა დაუწყო დაზვერა, იტალია უფლებას იტოვებს დაიჭიროს ოსმალეთის სავაჭრო გემები. ამასთანავე საომარ კონტრაბანდათ ჩასთვლის ზარბაზანსა, თოფსა, რევოლვერსა, დამბაჩასა, ხმალსა და ყოველგვარ იარაღს და ნივთს, რომელიც საომრად გამოდგება.

ადმირალი ობრი ლეიტენანტ ელოჯენის გმირობას აღნიშნავს, რომელმაც 14 სექტემბერს ტრიპოლ. პორტის მიდამოს დაზვერვა ნავტიკით მოახერხა.

**რომი.** „ჯიორნ-დ'-იტალია“ იუწყება, იტალიის ფლოტის პირველმა დივიზიონმა გუშინ ზარბაზნის სროლა განაგრძოო, ვალის სასახლე და ორი სიმაგრე დაანგრიეს. ამბობენ, იტალიის ჯარი ტრიპოლის გადავიდაო. ოსმალთა ნაწილი დაჰმორჩილდა, ზოგი გაიქცა.

**პეტერბურგი.** 19 სექტემბერს რუსეთის ელჩს პორტამ სიტყვიერად შეატყობინა, იტალიის გემებს დავატყვევებთ, თუ იტალიის ბარგი არის ზედა, სხვა ერთა ბარგს, თუ იარაღი არა, ხელს არ ვახლებთო. რადგან პორტას ჯერ არ შეუტყობინებია, პურს კონტრაბანდათ ჩასთვლის თუ არა, ამიტომ ელჩი რუსეთს ურჩევს, პურს ზღვით ჯერ ნურსად გაჰგზავნითო.

**ტრიპოლი.** სულვანიე და გამიდიე ყუმბარებმა ძალიან დააზიანა. კრეისერი „გარიბალდი“ გარეთ მდებარე ნავთსადგურში შევიდა. ზარბაზნებს კლიტეები მოხსნილი ჰქონდა. ალმოაჩინეს სამი გვამი.

**სტამბოლი.** გაზეთები სწერენ, ახალი კაბინეთი საქმიანია, იგი პარლამენტის გახსნამდეა მარტოოდ საქმის მწარმოებელი. მერე კი გარემოება შეიცვლებაო.

**სალონიკი.** ახალგაზდა ოსმალოთა კრება ისევ დაიწყო, სადაც „ერთობა და პროგრესის“ პროგრამა უნდა შეიმუშაონ. კრებამ, რომელსაც 8000 კაცი დაესწრო, უმეტესობა ებრაელი, პროტესტი განაცხადა იტალიის ყაჩაღურ მოქმედების და კაპიტალისტთა საახალშენო პოლიტიკის წინააღმდეგ.

**პორტ-საიდი.** იტალიის ელჩმა სუეცის არხის გუბერნატორს პროტესტი განუცხადა 17 სექტემბერს ოსმალეთის ტრანსპორტი „კაიზერი“ აქ რად იყოვო, ეს ფაქტი არხის ნეიტრალობას არღვევსო.

**ალექსანდრია.** აქაურმა ნოტაბლებმა გადასწყვიტეს, ოსმალეთის სასარგებლოდ ფულის შეგროვებას შევუდგეთო. არაბთა პრესა მოუწოდებს, იტალიის საქონელს ბოიკოტი გამოვუცხადოთო. ვეზირმა ქედივს ოფიციალურად შეატყობინა, იტალიასთან ომი დაიწყოო.

**კაპშტადტი.** აქაურებმა ოსმალეთ-იტალიის ომის საწინააღმდეგო კრება გამართეს.

**სარაევო.** ბოსნიის სეიმის მაჰმადიან თა კლუბმა ერენტალს სთხოვა, იტალიისა და ოსმალთა მიერ სასხლის ღვრას ხელი შეუშალეო.

**სტამბოლი.** მოვიდა ოსმალეთის ფლოტი, რომელიც სამის ჯავშნოსნისა, სამი კრეისრისა და ხუთ ნაღმმიუკარებელ ნავისაგან შესდგება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სექტემბერი.

**საზღვარ-გარეთ.**

**პარიზი.** ეროვნულ დაცვის უმაღლეს საბჭოს, რომლის სესია, კონსტიტუციის თანახმად, ოქტომბერში იხსნება, 26 სექტემბერს მოიწვევენ.

**ვაშინგტონი** ამ ზამთარს ამერიკის ფლოტი ხმელთა შუა ზღვაზე უნდა გასულიყო, მაგრამ ეხლა ეს საქმე გადასდეს.

**ბერლინი.** დეპარტამენტის დირექტორი კონცე სახალშენო სამინისტროს სტატს სეკრეტრის თანაშემწედ დანიშნა.

**პეკინი.** ჩინეთის პრესა აღნიშნავს, რომ მონღოლები დიდს წინააღმდეგობას უწევენ ჩინეთის ადმინისტრაციას და ამას მეხოვრებთა გაუნათლებლობასა და რუსეთის ხრიკებს აწერენ აქაური ოფიციოზი ნაწყენია, ურგის საელჩოში რუსეთის ცხენოსანი რაზმი რად გააძლიერესო. ტიბეტში გეცე-გოროდის და ორის გუბერნატორის თანამდებობის დაარსებას აპირებენ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სიძვირის გამო შეკითხვის დროს სოციალ-დემოკრატთა ბელადი ადლერი მინისტრის მიმართ (გამოტოვებული) სოციალ-დემოკრატთა მხრიდან ხმაურობა და პროტესტი ისმის. ამ დროს ქანდარიდან ვიღაც უცნობმა მინისტრთა საგარძლებისაკენ ოთხჯერ რევოლვერი გაისროლა, სადაც იუსტიციის და სახალხო განათლების მინისტრი ისხდნენ არავინ დაჭრილა. მსროლელი შეიპყრეს სხდომა შესწყდა.

პალატის დიდ დარბაზში ჩეხელი და გერმანელი დეპუტატნი წაიჩხუბნენ, 200 ჩეხელი უმაწვილი, თავისი მშობლებითურთ მინისტრ-პრეზიდენტს ეწვია, ჩეხურ სკოლათა დახურვის გამო. გერმანელი და გერმანიის რადიკალი დეპუტატები წინ გადაუდობნენ და შეჰყვირდნენ: „დროა, ჩეხური არამზადობა გერმანიიდან და პარლამენტიდან განვდევნოთო“. ჩეხელი რადიკალები გერმანელებს ეცნენ და გადასახეს მინისტრ-პრეზიდენტმა დეპუტაცია მიიღო და დაპპირდა, ჩეხურ სკოლების დახურვის საქმეს გავარჩევთო.

**პარიზი.** საერთაშორისო პარლამენტთა კავშირის საბჭომ რუსეთისა, გერმანიისა, დანიისა, ნორვეგიისა და შვეციის წარმომადგენელთა თანადასწრებით რეზოლიუცია მიიღო, რომელშიაც ძალიანა სწუხს, რომ ჰააგის კონფერენციის აზრი არ განხორციელდა და ომის გამოცხადებას ხელი ვერ შეუშალეთო, იტალიის წარმომადგენლებს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ვენა.** სხდომის განახლებისას ისევ სიძვირეზე ასტყდა კამათი სოციალ-დემოკრატი ადლერი მმართველ წრეებსა და იტალიის უსაყვედურებს, თავის მოქმედებით ევროპის მშვიდობიანობას განსაცდელში აგდებსო.

**ბერლინი.** „ლოკალ ანც.“ ლონდონიდან ატყობინებენ, დონ-მანუელი მეფედ გამოაცხადეს ჩრდილოეთ პორტუგალიის დიდ ქალაქებში და ჯარიც მონარქისტთა მხარეს გადავიდაო.

ვოლფის შეკითხვაზე ჰავასი უპასუხებს, ლისაბონში რესპუბლიკის გამოცხადების წლის თავი დიდის ამბით იდღესასწაულესო. პრეზიდენტსა და მინისტრებს ხალხი ადტაცებით ეგებებოდაო. ოპორტოს დღესასწაული გრძელდება. მონარქისტთა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 19 პოლიციელი და რამდენიმე საპოლიტიკო მოღვაწე გააძევეს. დიდი დღესასწაული, ლისაბონიდან მოსულ ფინანსთა მინისტრს დიდის ამბით შეეგებნენ.

**თეირანი.** სალარულ-დოულემ 4000 ქურთით და ლურით ქამადანი დასტოვა და ბუღუჯორდს გაემგზავრა, სადაც ახალ ჯარის შეგროვებას აპირებს. ქამადანი ეფრემმა და ფიდაებმა დაიჭირეს. მთავრობის დანარჩენი ჯარი ქამადანიდან 12 ვერსის მანძილზე დაბანაკებული.

**სოფია.** ბულგარეთის განთავისუფლების წლის თავზე ტაძარში დიდის ზეიმით პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისს მინისტრნი, სამხედრო პირნი და სასახლის რამდენიმე დიდებული დაესწრო. რუსეთის ელჩი ერთის კვირით პარიზს წავიდა. რუმინიის ნ მოსულთათვის ხუთი დღის კარანტინი დააწესეს, რადგან იქ ხოლერაა.

**პერპინიანი.** ჩქარი მატარებელი ბარცელონა-ცერბერე სატვირთო მატარებელს დაეჯახა. დაჭრილი ბევრია.

**პარიზი.** ჰავასი იუწყება, გარეშე საქმეთა მინისტრი დიდს თავდაჭერილობას იჩენს კიდერლენ ვეხტერისა და კამბონის მოლაპარაკების დროს და საზოგადოდ, ფრანკ-გერმანელთა ურთიერთობის თაობაზე. არც მინისტრთა საბჭოს დღიანდელი სხდომის შედეგი გამოუქვეყნებიათ. ხვალის მაგივრად, შაბათისთვის სხდომის, დანიშვნა ჰმოწმობს, რომ სრულის შეთანხმებისათვის კიდერლენ-ვეხტერისა და კამბონის მოლაპარაკება კიდევ სჭირდაო.

**ვენა.** ბოროტგამზრახველმა რევოლვერი მაშინ გაისროლა, როცა ადლერი ამბობდა: ნეტავ ხალხი როგორ ითმენს დრაკონის კანონების მიხედვით დამშეულთა ამბოხებაში მონაწილეთა საქმის გადაწყვეტასაო. ორმა ტყვიამ იუსტიციის მინისტრის სკამი გახვრიტა, მესამემ—მის უკან მდგარი სკამი მეოთხემ—პალატის პრეზიდენტის საგარძელი, მეხუთემ კი განათლების მინისტრის შტურხალ ტანისამოსს გაჰკრა.

**ლისაბონი.** ინგლისის ცნობა, ვითომც ჩრდილოეთი პორტუგალია მონარქისტებს ჩაუვარდათ ხელში, ცრუთ ყოფილა.

**მადრიდი.** მოსაზღვრე ქალაქებში ხმა გრცელდება, პორტუგალიაში მონარქისტთა აჯანყებაა; სამი დივიზიონი ოპორტოს მიდის, რომელიც სტახტო ქალაქად უნდა გამოაცხადონ. გაზეთები ამტკიცებენ, მეფე მანუელი დაუყოვნებლივ მოვაო.

რ უ ს ე თ ი.

**ბელოსტოკი.** მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 104 საპასპორტო ბლანკი და წიგნაკი მოიპარეს.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრი ყაზანს წავიდა.

**კიევი.** ტირნოვოში, მოკიდევის რკინის გზის დიანდაგზე, ორთქმავალი ჯარხლით დატვირთულ 20 ვაგონებით დიანდაგს გადასცდა. მემანქანე, ორი კონდუქტორი და გამზეთავი დაშავდა.

**ბალახანა.** სოფელ დახოვოში 70 კომლი გადაიწვა.

**განჯა** 18 აგვისტოს ქალაქის თუჯის გადამდნობ ქარხნის კანტორაზე 4 თავდამსხმელთაგანი დაიჭირეს.

**მოსკოვი.** დამცველმა პოლიციამ ბოროტგამზრახველთა ორგანიზაცია აღმოაჩინა, იმაში არიან: სტუდენტები, საკომერციო ინსტიტუტის მსმენელნი, ნაფიც ვექილის თანაშემწე, ექიმი ქალი და კბილის ექიმი; მომეტებული მათგანი ებრაელია. უმეტესი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას ეკუთვნის. ნაფიც ვექილის თანაშემწეს კუდიშერს სტოლიპინის მკვლელ ბაგროვთან დამოკიდებულება ჰქონია.

სამოსამართლო პალატაში 4 პოლიციის ზედამხედველის საქმე ირჩევა. მათ ფულის დატუქვა ბრალდებათ

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაამბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში სია იმ პირთა, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ბაგრატის ტაძრის გალავნის შესაკეთებლად: არქიმანდრიტი პიროსი 5 მ., შიო შიუკაშვილი 1 მ., მღ. დავით გარსიაშვილი 1 მ., მღ. ვპ. ჯაოშვილი 1 მ. მღ. არ, გოგრაძე 1 მ., გაბრიელ ყუბაეიშვილი 1 მ., უცნობი, ანტ. ნატროშვილი და სტეფანე სელიხოვი ათ-ათი შაური, ნატალია დუხვაძისა 20 კ., შიო კასრაძე 20 კ.. იოსებ ცუცუნაშვილი 20 კ. და ნიკო სულხანიშვილი 10 კ. ეს ფული დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

მღ არჩილ გორგაძე.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტახანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგაბაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. შ. ზედეხკამპ-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. ვარლამოვსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(№ (1168—139)

**მუხრანის ხიდთან**

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.
**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.
**მ. ქ. იახელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.
**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.
**ლ. გ. ხაყვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.
**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.
**გ. ბ. მელიქნიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.
**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.
**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.
**408 შო**—კბილისა, 8—10 ს.-დე.
**ლ. მ. მანანი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექი ბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—146

**საბუღალტერო კურსები**
გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.23)

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

**სამკურნალო კაბინეტი**

## ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცირკის მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „606“-ის საშუალებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (ხუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნამუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.8)

**სამებისა და პუშკინის ქუჩ. კიმში**

# იყიდება ტრაქტირი

მთელის მოწყობილობით.

იკითხეთ არაქელიანცთან.

(8.346.2)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას ყოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე.** ყველა კლასის ჩინისთვის ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—85)

**ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი**

## „კ ო ლ ხ ი დ ა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. **საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.**

ადრესის გამოცვლა: ქუთაისსა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: ტ. I. „ერთიანი პროგრამის გარშემო“. ფ. 75 კ.
ტ. II. „ჩვენი ზნეობრივი დეგრადაცია“. ფ. 80 კ.
ტ. III. „ნაამბობი“. ფ. 65 კ.
Bato ...: „ერი და კაცობრიობა“. ფ. 1 მ. 20 კ.
3. ...: „...“ ფ. 40 კ.
5. ...: ... ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ... წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კეღარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

**სალონის თევზით მრეწველ და მოვაჭრე თ**

# ძმ. ძეზველოვების

**● მ ა ღ ა ზ ი ა ●**

კუშინის ქ., სახლი № 2, ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** ... და **სევრიუგა** (...).

ყოველ დღე ცხელი **ლოში**

... **ახალი კეტოვი ხიზილალა**

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(№—1051—)

# გაფრთხილება

## ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩაშებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა“** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უძვანო პიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

ორგანოთერაპიული ინსტიტუტი პროფესორ დოქტორ ПЕЛЬ и С-ВЬЯ

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

(Метцль и К-о. № 95425). (13—1451—3)


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული. რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]